ლაპარაკი

I დავალება

პირველი შეკითხვა

თქვენი ნაცნობებიდან ვისთან ურთიერთობა განიჭებთ განსაკუთრებულ სიხარულს და რატომ?

მეორე შეკითხვა

როგორ ახერხებთ თქვენი მოსწავლეების მოტივაციის ამაღლებას? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

II დავალება

ზოგი ფიქრობს, რომ როდესაც ბავშვთან ძალიან სწრაფად მივდივართ საშველად და მომენტალურად ვამჟღავნებთ „მზრუნველობას“, ჩვენ ამით მას რთული ვითარებიდან დამოუკიდებლად გამოსვლის საშუალებას ვართმევთ, შედეგად კი ბავშვი იმას ეჩვევა, რომ ვიღაც ყოველთვის უშველის და მის შეცდომებს აუცილებლად გამოასწორებს. ზოგის აზრით, ეს დაუშვებელია, რადგან ამის გამო უუნარო და სუსტ პიროვნებას ვიღებთ.

ისაუბრეთ, როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ.

<u>პასუხი დაასაბუთეთ</u>!

III დავალება

მოისმინეთ სიტუაციის აღწერა და იმსჯელეთ არგუმენტირებულად.

სიტუაცია:

წარმოიდგინეთ, რომ კოლეგამ გაგიზიარათ თავისი წუხილი იმასთან დაკავშირებით, რომ მოსწავლეების გარკვეული ნაწილი ხშირად არ ასრულებს საშინაო დავალებებს ან ასრულებს სხვისი დახმარებით, რაც სწავლის შედეგზე უარყოფითად აისახება.

რა რეკომენდაციას მისცემდით კოლეგას ამ პრობლემის მოსაგვარებლად?

<u>არგუმენტირებულად დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია</u>!